



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

მაკრატელა



მაკრატელა (Calepina), მცენარეთა გვარი კომბოსტოსებრთა ოჯახისა. შეიცავს მხოლოდ ერთ სახეობას - *C. irregularis*. ერთწლოვანია. აქვს პატარა თეთრი ყვავილები და ერთთესლიანი უხსნადი ჭოტაკი. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანი და ჩანგისებრია, ღეროსეული - მოგრძო და მჭდომარე.

მაკრატელა

გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთსა და სამხრ. ირანში. საქართველოში მ. იზრდება მშრალ ფერდობებზე (ველებსა და სხვა ადგილებში), როგორც სარეველა - მინდვრებსა და გზის პირებზე.
